ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და

შპს მოძრაობის თეატრის ივენთებს შორის

ქ. ბათუმი 02 ივნისი, 2023 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, თეიმურაზ კეჟერაძის მიერ და მეორე მხრივ, შპს მოძრაობის თეატრის ივენთები (შემდგომში „მოძრაობის თეატრი"), წარმოდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელის - იოსებ ბაკურაძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული, ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
- სტუდენტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ ერთმანეთის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსს მემორანდუმის მიზნების მისაღწევად.

1.3. მხარეები ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს, მოამზადებენ ერთობლივ კონფერენციებს, მასტერკლასებს და სხვადასხვა სახის ერთჯერად შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას.

1.5. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება

და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.6. მოძრაობის თეატრი უზრუნველყოფს შემოქმედებით პროექტებში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობას.

1.7. მოძრაობის თეატრი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

3.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	შპს მოძრაობის თეატრის ივენთების სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი
თ. კვეერაძე	ი. ბაკურაძე
მის.: ბათუმი 6000, ზ.გორგილაძის/ ვაჟა-ფშაველას №19/32 საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496 ტელ.: +995 551 21 75 77 ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge ვებ.გვ. batu.edu.ge	მის.: თბილისი. დ. აღმაშენებლის №182 საიდენტიფიკაციო კოდი: 205202680 ტელ.: +995 577 76 66 26 ელ.ფოსტა: pr.movementtheatre@gmail.com ვებ.გვ. Mtheatre.ge